კონკურსი „eTwinning ჩემს სკოლაში“

9 მაისს ევროპელი კოლეგების მიერ აღინიშნება eTwinning-ის დღე. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, პროგრამის - „სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან“ (eTwinning Plus) ფარგლებში აცხადებს ვიდეორგოლების კონკურსს - „eTwinning ჩემს სკოლაში“. კონკურსის მიზანია ევროპული ღირებულებებისა და პროგრამის პოპულარიზაცია.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოსწავლეებს, რომელთა მასწავლებლებიც ჩართულნი არიან პროგრამაში „eTwinning Plus“ კონკურსის მონაწილეებს ვიდეორგოლის წარდგენა შეუძლიათ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. საუკეთესო ნამუშევრის ავტორი მოსწავლეები /გუნდები მიიღებენ წამახალისებელ ჯილდოებს.

<u>კონკურსის პირობები:</u>

- ვიდეორგოლის გადაღების მეთოდი შეზღუდული არ არის (შესაძლებელია გამოყენებული იყოს, როგორც პროფესიონალური კამერა, ისე მობილური ტელეფონი და სხვა);
- ვიდეორგოლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს;
- სკოლამ საკონკურსოდ უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნულ თემაზე შექმნილი არაუმეტეს 2 ვიდეორგოლი;
- საკონკურსო ვიდეორგოლი უნდა აიტვირთოს ინტერნეტსივრცეში.

<u>**საკონკურსო მასალის გაგზავნის წესი:**</u>

მასწავლებელმა მოსწავლეთა ნამუშევრის ბმული უნდა გამოაგზავნოს შემდეგ მისამართზე etwinningplus@tpdc.ge , რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ინტერნეტსივრცეში ატვირთული საკონკურსო ვიდეო რგოლის ბმული;
- ვიდეორგოლის ავტორის/ავტორების შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, კლასი, საკონტაქტო მონაცემები);
- გამოგზავნილი ელექტრონული წერილის „subject” ველში მითითებული უნდა იყოს სკოლის სრული დასახელება.

შეფასების კრიტერიუმები

- ვიდეო რგოლის პროგრამის შინაარსთან და მიზანთან შესაბამისობა;
- იდეის ორიგინალურობა/მრავალფეროვნება.

მოსწავლეებმა ვიდეო რგოლი უნდა ატვირთვონ არაუგვიანეს 13 მაისისა, ხოლო აღნიშნული ბმული უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულ ფოსტაზე <u>etwinningplus@tpdc.ge</u> 16 მაისამდე.